

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და პოლიტიკური  
დისკურსების დაპირისპირება კორონა ვირუსთან დაკავშირებით

ნანა კოპლატაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად.*

პროგრამა: სოციოლოგია

ხელმძღვანელი: ელენე გავაშელიძე, ასისტენტ-პროფესორი.

თანახელმძღვანელი ემზარ ჯგერენაია, პროფესორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

*როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

ნანა კოპლატაძე

18.06.2020

## მადლობა

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ასისტენტ-პროფესორს ელენე გავაშელიშვილს და სამეცნიერო თანახელმძღვანელს, პროფესორ ემზარ ჯგერენაიას კვლევის პროცესში გამოხატული ყურადღებისთვის, ასევე მნიშვნელოვანი რჩევებისთვის და რეკომენდაციებისთვის.

დიდი მადლობა ასევე ყველა იმ ადამიანს, ვინც მცირედი წვლილი მაინც შეიტანა ჩემი კვლევის განხორციელებაში.

## აბსტრაქტი

თანამედროვეობამ და გლობალიზაციამ უამრავ სიკეთესთან ერთად ბევრი უარყოფითი მოვლენა მოიტანა მთელი მსოფლიოსთვის. კვლევა ეხება 2020 წლის ყველაზე მწვავე და აქტუალურ თემას, პანდემიას, რომელმაც მოიცვა სამყარო, შეაჩერა მსოფლიოს ჩვეული რიტმი და ახალ დროით განზომილებაში გადმოიყვანა. პანდემია საქართველოსთვისაც დიდი გამოწვევა აღმოჩნდა. ეს გამოწვევა კიდევ უფრო გაამძაფრა იმან, რომ ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ თვითიზოლაციისკენ მოწოდებას დაემთხვა მართლმადიდებლური სამყაროსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაული, აღდგომა. აღნიშნული კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე გავაანალიზე მართლმადიდებელი ეკლესიისა და პოლიტიკური სფეროს დისკურსებს, რომლებიც ერთმანეთს შინაარსობრივად უპირისპირდებოდნენ. სახელმწიფო, სამედიცინო სფეროს რეკომენდაციებზე დაყრდნობით აკეთებდა მოწოდებებს სახლში დარჩენის და სოციალური დისტანციის დაცვის შესახებ, ხოლო ქართული ეკლესია ხალხს მოუწოდებდა მართლმადიდებლური სამყაროსთვის ყველაზე დიდი დღესასწაულის აღსანიშნად ტაძრებში მისულიყვნენ. კვლევის ფარგლებში გაგაცნობთ პანდემიის პერიოდში როგორ განვითარდა მოვლენები აღნიშნულ ინსტიტუციებში, რომელი სფეროს წარმომადგენლებს ემხრობოდა საზოგადოება უფრო მეტად, მათთვის რელიგიური ავტორიტეტები იყო უფრო მნიშვნელოვანი თუ პოლიტიკური და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საეკლესიო რიტუალებზე დასწრებასთან დაკავშირებით. ასევე ძალიან საინტერესოა აღნიშნული ინსტიტუტების წარმომადგენელთა განცხადებების ანალიზი, ვინაიდან დავაკვირდეთ მათივე დისკურსულ ჭრილში მიმდინარე მოვლენებს, რომელიც საკმაოდ დაძაბული და კრიტიკული იყო და გამოიწვია საზოგადოების აზრის დაყოფა. აღნიშნულ პროცესებს შევისწავლი დისკურსის ანალიზის მეთოდით, დეტალურად გავეცნობი პანდემიისა და ამ ორი სფეროს გადაკვეთის ადგილებს, ასევე პროცესში ჩართული მნიშვნელოვანი პირების შეფასებებს, თეოლოგების მოსაზრებებს, სამედიცინო სფეროს რეკომენდაციებს და ა.შ.

აღნიშნული კვლევა ღირებულია, რადგან არის ბოლო დროის ყველაზე აქტუალური საკითხი, რომელიც თავისი მიზნებიდან გამომდინარე წარმოადგენას შეგვიქმნის არსებულ საკითხზე და მოგვცემს უფრო ღრმა ანალიზის საშუალებას.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** პანდემია; კოვიდ 19; საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია; სამედიცინო რეკომენდაციები; სახელმწიფო რეგულაციები; რელიგიური დღესასწაულები.

## **Abstract**

Modernity and globalization, along with lots of goodness, have brought many negative events to the whole world. The study addresses the most pressing and topical issue of 2020, a pandemic that has Covered the world, stopped the usual rhythm of the world and moved into a new dimension of time. The pandemic has been a major challenge for Georgia as well. This challenge was further exacerbated by the fact that the Health Organization's call for self-isolation coincided with the most important holiday for the Orthodox world, Easter. In the interests of this research, I will analyze the discourses of the Orthodox Church and the political sphere that were in content conflict with each other. The state, based on the recommendations of the medical field, called for staying at home and keeping a social distance, while the Georgian Church called on people to come to the temples to celebrate the biggest holiday for the Orthodox world. The following study, we will inform you how the events in these institutions developed during the pandemic. Which sphere did the society support more? For them, religious authorities were more important than representatives of the political and medical spheres in the decision of making involved in the church rituals. It is also very interesting to analyze the statements of the representatives of these institutions, as we observe the current events in their discourse, which was quite tense and critical because it led to the division of public opinion. I will study the mentioned processes by the method of discourse analysis, I will go into more detail about the pandemic and the intersections of these two areas also the evaluations of important persons involved in the process, the opinions of theologians, the recommendations of the medical field, etc. This research is valuable because it is the most pressing issue of recent times, which based on its goals, will give us an idea of the current issue and allow us to conduct a deeper analysis.

**Key words:** Pandemic; Covid 19; Georgian Orthodox Church; Medical recommendations; State regulations; Religious holidays.